

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში. ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакцію газеты „Дროზბა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროშა

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

მთ სპირიტუა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შემოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროშაზე“

ამ წლის 1 ივლისიდან ვიდრე მომავალი 1877 წლის 1 იანვრამდე ფასი ნახევარ წლისა — — — 4 მან. და 50 კაპ. სამის თვისა — — — 2 მან. და 50 კაპ. ერთის თვისა — — — 1 მან. „ „ „

მთელი წლის ვგზამლიარები მხოლოდ რამდენიმე დარჩენილი კიდევ რედაქციაში და მსურველს ამ წლის გამოსული ნომრები ყველა ერთად გაეგზავნება.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакцію газеты „Дროзба.“ ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისათნავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.

## საქართველო

### დღიური

ზოგიერთს რუსულ გაზეთებში იწერებინან, რომ პეტერბურლიდამ ვილაც ორი ქართველი (იმერელი) წავიდა სერბიის დასახმარებელიად და

ჩერნიაევის ჯარში აპირებენ შესვლასა.

ჩვენ არ ვიცით—ენ არიან ეს მხნე იმერლები, რომელნიც სლავიანებისთვის თავის-შეწირვას აპირებენ; მაგრამ, მაგერად, ყველამ იცის მეორე იმერელი, რომელიც თავის მხნეობით გამოჩენილია, და რომელიც, როგორც ამას წინათ ამბობდნენ,

ამავე განზრახვით სამზღვარ გარეთ ემზადება წასვლასა...

\*\*

ჩვენ შევიტყუეთ, რომ თფილისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორად, უფ. ბეს. ლობაზერიძის ადგილზე, აქაური კლასიკური გიმნაზიის ბუნებით საგნების მასწავლებელს უფ. მ. მარსოვს ნიშნავენო. უფ. მარსოვი აქ დაბადებული რუსია და ქართული ენა იცის.

\*\*

მეორე ახალი ამბავი, რომელიც აგრეთვე ჩვენს სამასწავლებლო მზრას შეეხება: ჩვენ გაეფიქრეთ, რომ ქაეკასიის სამასწავლებლო მზრის მზრუნველის, უფ. ი. მ. ნევეროვს ვილაც ნათესავი მოკედომია რუსეთში და იმისაგან დიდი მემკვიდრეობა დარჩენია.

\*\*

ამ მოკლე ხნის განმავლობაში ორჯერ გაჩნდა ჩვენს ქალაქში ცე-

ცხლი, მაგრამ, ღვით, ორივეჯერ დროზე მიასწრეს და ზიანი არაფერი ყოფილა: ამ თვის 12 ერთ მეწერი-მალის დუქანს გაუჩნდა ცეცხლი მათრის შეიდანზე და სულ გაღიწვა. პატრონის სიტყვით, შაბათ ღამეს დაუკეთია იმას დუქანი; კვირას დაორშაბათს დაკეტილი იყო და სამშაბათ დილას რომ მივედი და გაველე დუქანი, სულ დამწვარი დამხედაო. 2,000მანეთად ყოფილა საზღვეველ საზოგადოებაში ეს დუქანი შეტანილი...

მეორე ცეცხლი გუშინწინ, 19 ამ თვის, გაუჩნდა პელაბარში, მირზოვეის შენობაში, ერთ ბაყალს. შაკური, ყვირილი და მოძრაობა დიდი იყო, მაგრამ, სანამ ცეცხლის საქრობი კამანდა მივიდოდა, კიდევ გააქრეს; ამბობენ, აქ ქილობების მეტი არა დამწვარა რაო.

\*\*

ერთის იმერელი მღვდლისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშნვა გაზეთში დასაბეჭდად.

„უფ. რედაქტორო! 1874 წელს მუთაი-

## ფულტონი

### მოგონება

(მუძღენი სოლომონ მსაჯულის ხსოვნას)

ჰა, კელაე ვიხილე ჩემი სოფელი! მუოში ვზივარ ხის ქვეშ მღუმარე, სასიამოვნო თვალთ სახილველი ჩემ გარშემოა არე და მარე.

შვევით სჩანს მთები ახალციხისა, ცაღმდე ასულნი, ჩამოთოვლილნი; შკან გორები ჩვენზე სოფლისა ზულის საამოდ მწვანით მოსილნი.

მდინარის გაღმით ვუმზერ მე კლდეებთ, მებათა მათ შორის გამოქეაბულთა და ციხეებსა ძველ დროთ ანაგებთ, ზოგან კლდეებზედ გადმონგრეულთა.

რა მოთხრობა გსჯობთ, უსიტყვო კლდენო! თქვენ მოგვაგონებთ, წასრულთა ვამთა მუ რა ცხოვრება ჰქონდათ საძნელო, რაც ჰქირი ადგა ჩვენთ წინაპართა.

აი, სადაცა ცოლ-შვილიანად თქვენშიდ ვიხილენ ჩვენი პაპები და იყვნენ ბედზედ გულ-ნადელიანად, მხლა ბუღობენ იქ შავარდნები!

მტრებსა—უწყალო ამოხრებლებს მებაბის კარიდამ გადმოსკქეროდნენ; როგორ სჯეგაედნენ მათ ვენახს, ყანებს და ქოხებს როგორ ცეცხლითა სწვაედნენ.

მუმცა შორს იყო, ვერ მიუწევდნენ, მაგრამ არ უქმდათ გული საწყალოთა და თითო ტყეიას მტერს უგზავნიდნენ პიქინით, წყევლით და გინებითა.

ერთმანერთისა და მტრისგან ძლეულთ, დაუძღურებულთ, ღონე-მიხილთა არ ქონდათ ძალი, და გულის ტკივილს ვერ იქარებდნენ მტრის სისხლითა.

ზანხეტილება რას ერთმანერთში მათ აღარ ჰქონდათ, ძალს მოიკემდნენ:

ვილასა ჰქონდა მაშინ მტრის შიში? როგორც ცით მენი თავს ეცემოდნენ!

რა კი რომ მტრებსა მოიშორებდნენ, შექმნიდნენ ჯირითს, სიმღერას, თამაშს. ბაოხრებასა აღარ სჩიოდნენ, რადგან იცაედნენ თავისუფლებას.

იმ კლდეთ გამოღმა, მხარ მარჯენიე, სერზედ მხედამ ნამოსახლს, მტრისგან აკლებულს. ათასი ფიქრი მის შეხედვაზედ, მით ქარი ზღვასა, აღმიშფოთებს გულს...

მთადი, ძველად პატრონი მისი, იყო მოსისხლე მტერი ოსმალთა; ვერ გაიძევა მამული თვისი, არ უღალატა მეტეს და ხალხთა.

ზანზრახვა მტრისა მხოლოდ მას ერთსა ძარგად ესმოდა, არ სტყუედებოდა; შხედურების მოძლოდნენ, ღმერთსა სამშობლოს დაცვას ვეედრებოდა.

წინააღმდეგად თვისის განზრახვის მხოლოდ იმ თავადს მტერი ხედავდა, მსურველი იყო მისის მოსყიდვის; მოსაქრთამებლად არას ზოგავდა.

მაგრამ ვერაფრის სოფლის დიდებით ვერ შეურყია მტერმა მას გული; და უფრო მეტის თავ-გადადებით სიკედიმდე შერჩა მამულს ერთგული.

რა ოსმალთ მხარე დაიმორჩილეს, მსწრაფლ მოიგონეს მისი მტერობა; ადგილ-მამული სრულად წაართვეს, ცეცხლით გაღუწვეს მთლათ მოსხლობა.

ვერ დაიმშვიდეს სული ამითა, უწყუნო გული ვერ გაიჯერეს და ვილაც ანგარ ბერძენს ქრთამითა ის ახალციხეს მოაწამელიდნენ!

ჩვენ შემოგვწირა ყოელი დიდება, ჩვენთვის შეიქნა დღე მოკლებული! ჩვენ კი, უმადურთ, არც გვაგონდება და გვეყვს სრულიად დაეწყებულნი...

დ. ლეონიძე





ნარევი

სტამბოლი 72 სხვა და სხვა გაზეთი გამოდის ამ ყაზად; ამთგან 16 გაზეთი ოსმალურს ენაზე გამოდის, 1—არაბულს ენაზე, 1—სპარსულს, 1—გერმანიულს, 1—ბერძნულს, 13—სომხურს და 20 ფრანცუზულს ენაზე.

\* \*

იტალიურს გაზეთებში დაბეჭდილია რამდენიმე საინტერესო ცნობა ამ დროების უდიდესი კაცის—ბარიბალდი და კუნძულის პარერასზე, სადაც რამდენიმე წელიწადი ბარიბალი სცხოვრებდა.

სანამ ბარიბალი ამ კუნძულზე დასახლებულა, ისე გავიდოდა თურქე რამდენიმე წელიწადი, რომ ერთი ხომალდი არ მიადგებოდა პარერასს; ახლა კი ამ ოთხი წლის განმავლობაში, ხსენებულ კუნძულს 160 ხომალდი მისდგამდა და 17,000 კაცი ჩამოიშტრა მხოლოდ იმისთვის, რომ ეს თავისუფლებისათვის თავგანწირული გმირი ნახონ. ნაპოლიტანის ოთხს ხომალდს „ბარიბალი“ ჰქვია სახელია.

პარერის კუნძულზე ბარიბალი, როგორც მოგვხსენებთ, ხენა-მოთესველობას შეუდგა; ამ ხუთ წელში იმას 33,000 ფრანკის (9,000 მანეთის) ღირებული სხვა და სხვა სამეურნეო იარაღები მოუვიდა საჩუქრად თუ ამერიკად და თუ სხვა ქვეყნებში. ამავე დროს განმავლობაში ბარიბალიმ არ მიიღო ერთი მილიონი სხვა და სხვა საჩუქარი, რომელსაც ყოველ ქვეყნიდან უგზავნიდნენ იმას თუ ფულად და თუ ნივთებად.

ბარიბალი 90 ქალაქისაგან საპატიო მოქალაქედ არის არჩეული და 121 საზოგადოების საპატიო თავს-მჯდომარედ. იმას აქვს 21 საჩუქრად მიღებული ხრამალი; ამთგან 10 უცხო ქვეყნებიდან. 1871 წლიდან ბარიბალიმ მიიღო 5,000 ადრესი და წიგნი, რომლებშიც იმას მთელი ქვეყნიდან თანაგრძობასა და თავყანის ცემას უცხადებდნენ.

პარერის კუნძული ადრე ერთი მივარდნილი ქვიშიანი, უწყალო მიწა იყო და იმის პატრონს ორი გროშის შემოსავალი არ ჰქონდა წელიწადში. ახლა კი ბარიბალიმ ისეთნაირად შეამუშავა თურმე ამ კუნძულის მიწა, რომ წელიწადში უკანასკნელი 3,600 ფრანკი შემოსავალი აქვს.

\* \*

ამის წინათ რამდენიმე გქიმი და მომვლელი ქალი გაგზავნეს პეტერბურგიდან და მოსკოვიდამ სერბიისა და ჩერნოგორიის დაპყრობების საპატრონოთ. ახლა კიდევ ორ გქიმსა და ხუთს მედიკო-ხირურგის ასადე-

მის კურსების სტუდენტს-ქალს გზავნიან თურმე ამავე განზრახვით.

\* \*

რა ძნელია, ღმერთო ჩემო, როცა სინდისი მოხვეწებას არ აძლევს კაცს! ხუთი წელიწადია, რაც მარშალ ბაზენმა უღალატა თავის სამშობლო საფრანგეთს და უღალატა ისევს დროს, როდესაც იმაზე, ვინ იცის, იქნება საფრანგეთის ბედი იყო დამოკიდებული. მკითხველს ეხსომება, რომ ამ ღალატისათვის ის წმ. მარგარიტის კუნძულზე დატუს-ღებულნი იყვნენ, საიდანაც მალე გაქცა. ბაიქა, მაგრამ ვერც თავისუფლებამ დაუწუნარა სინდისი: ხან მსანაში მიდის და იქაურ მთავრობას ეხვეწება, სამსახურში მიიღეთო, ხან აესტრიაში, ხან რუსეთში. მაგრამ ყველამ უარჰყო ამ თავის ქვეყნის მოღალატე კაცს სამსახური. ახლა გზავნიან იწერებინ, რომ ბაზენი სტამბოლს მოსულა და ხონთქარს სთხოვს თურმე მსამალოს სამსახურში მიღებას, იმისთვის რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ სლავიანების წინააღმდეგ იომოს.

ბავიშროთ: რა ძნელია, როცა სინდისი მოხვეწებას არ აძლევს კაცს!

განცხადებანი

LA VELOUTINE (ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უპარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბოზს და ახლოგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ძანს ეკერება და არა სჩანს. შ. ძ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი

pommade satin (ატლასის კომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკლებია ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris 156-48

ანბარიში

თიონეთის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის პირველ წიგნად 1876 წლისა. პირველი იანვრამდინ 1876 იმყოფებოდა:

Table with 2 columns: მან. კაპ. and მან. კაპ. listing various items and their costs.

პირველს იანვრიდან 1-ს ივნისამდინ 1876 წ. შემოსავალი

Table with 2 columns: მან. კაპ. and მან. კაპ. listing various items and their costs.

1-ს ივლისის 1876 წლისა არის:

Table with 2 columns: მან. კაპ. and მან. კაპ. listing various items and their costs.

ზამგანი სამმართველოსი: 3. ლოდავეი 8. შუკოვი 8. ბოჯივეი

(3-3)

კავკასიის საბავიო ინსტიტუტი სამშობლიარო ღოზიბლით

(შეკრზე, ფოხტის სტანციის მახლობლად)

მშობლიარე ქალებს ყოველ დროს ღლე და ღამე მიიღებენ. აქიმობისთვისა და საწოლისთვის ღლეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ღოზიბლით არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველღლე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაურია; ღარიბები მუქთად.

შოველ ღლე დილის 8 საათიდან 9 1/2-მდი დოქტორი არტემიევი და 9 1/2-დან 11-მდი დოქტორი ანანოვი.

ღოზიბლით და პარასკეობით, დილის 11 საათიდან 12-მდი დოქტორი აღბანუსი და ქაპველერი.

ღოზიბლით, 12 საათზე რჩევა რემერტისა, აღბანუსისა, ანანოვისა და არტემიევისა.

Large table with multiple columns: რა. გზა., დილა., საღამ., II კ., III კ., ცეცხლის გვერები, ზოზბა, ბირჟბ, მან. კაპ., მაზანდა, მან. კაპ. containing various statistics and data.